დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

2021-2024 წლები

შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ 3
ისტორია 3
მდებარეობა 3
ფართობი 3
მმართველობის ორგანოები 4
მოსახლეობა 4
ეკონომიკა 5
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა 5
საჯარო დაწესებულებები 5
ღირსშესანიშნაობები 6
ბიუჯეტი 6
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 7
შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2019-2024 წლებში 7
შემოსულობები 7
გადასახდელები 7
ბიუჯეტის ბალანსი 8
2019-2020 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა 9
2019 წლის ბიუჯეტის შესრულება 9
2020 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა 13
თავი III. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში 17
ინფრასტრუქტურის განვთარება 19
დასუფთავება და გარემოს დაცვა 24
განათლება 26
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 27
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 31

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, კახეთში მდებარეობს ულამაზესი მხარე ქიზიყი, რომელიც ისტორიულ წყაროებში პირველად კამბეჩოვანის სახელწოდებით მოიხსენება და ჰერეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად ითვლება. იმდროინდელი კამბეჩოვანის მთავარი ქალაქი ხორნაბუჯი გახლდათ, სახელწოდება ქიზიყი უფრო გვიანდელია, რომელმაც მეცამეტე საუკუნეში მონღოლთა შემოსევების შედეგად თავისი ადმინისტრაციული მნიშვნელობა დაკარგა. დღევანდელი ქიზიყი ორ ნაწილად იყოფა სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონებად.
მეოცე საუკუნის დასაწყისში დედოფლისწყარო, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, სიღნაღის მაზრაში შედიოდა, 1938 წლიდან ის ცალკე რაიონად ჩამოყალიბდა, მაგრამ 1963 -1964 წლებში კვლავ სიღნაღის რაიონს შეუერთეს, 1965 წლიდან კი დედოფლისწყარო ისევ ცალკე ერთეულია.

მდებარეობა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტია, იგი ივრის ზეგანზე, გომბორის მცირე მონაკვეთსა და მდინარე ალაზნის ხეობის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილზეა გაშლილი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს სამხრეთ აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 500-800მ. სიმაღლეზე, ხასიათდება მშრალი კლიმატით, გრძელი და მშრალი ზაფხულით და შედარებით ცივი ზამთრით.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს დასავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება სიღნაღის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით და სამხრეთით კი აზერბაიჯანი.

ფართობი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ფართობი მოიცავს 2532,0 კვადრატულ კილომეტრს, რაც კახეთის რეგიონის 22% შეადგენს და წარმოადგენს ქვეყანაში სიდიდით მესამე მუნიციპალიტეტს (ხოლო კახეთის რეგიონში -სიდიდით პირველს) ამის მიუხედავად, იგი ყველაზე მცირედ დასხლებული მუნიციპალიტეტია კახეთის რეგიონში, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე არის 8,4 კაცი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. დედოფლისწყარო, რომელიც დაშორებულია დედაქალაქიდან 130 კმ-ით. სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან დარგს, მდიდარია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებით, რომლის ფართობი შეადგენს 181 690 ჰა-ს. მათ შორის სახნავი მიწის ფართობია - 56 000 ჰა. სარწყავად ძირითადად გამოყენება მდინარე ალაზანი და მდინარე იორი, რომლებიც მუნიციპალიტეტისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრებთან მიედინებიან.

გეოგრაფია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით მოიპოვება კირქვა. მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობიდან ფუნქციონირებს ორი მძლავრი კირქვის საწარმო, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნავთობსარეწი ,

რომელიც მოიცავს მირზაანის, პატარა შირაქისა და ტარიბანის საბადოებს, მსოფლიოში ერთერთი უძველესია. ჯერკიდევ XVI-XVII საუკუნეებში ხდებოდა ნავთობის მოპოვება. 1997 წლიდან ნავთობსარეწზე კვლევა-ძიებისა მოპოვების სამუშაობს აწრმოებდა ამერიკული კომპანია ,,ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდ ნაწილში იჭრება ივრის ზეგანი, რომელიც გვევლინება აქაური რელიეფის მთავარ ოროგრაფიულ ერთეულად. ივრის ზეგნის უდიდეს აკუმულაციურ ვაკეს წარმოადგენს დიდი შირაქის ვაკე (35X19 კმ), რომელიც გაშლილია ალაზან-ივრის შუამდინარეთში. ზედაპირი 560-700 მ აბსოლუტურ სიმაღლეზე მდებარეობს. ვაკე შემოსაზღვრულია ქოჩების, ნაზარლების, შუანამთისა და არხილოსკალო-ყაშის დაბალი სერებით. დიდი შირაქის ვაკე აღმოსავლეთით უერთდება კასრისწყლის ვაკეს. ივრის ზეგანი უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში თანდათანობით გადადის ელდარის დაბლობში, რომელიც წარმოადგენს აზერბაიჯანის ნახევარუდაბნოთა უშუალო გაგრძელებას.

ელდარის დაბლობს უჭირავს ივრის მარცხენა სანაპიროს ზოლი, რომლის მაქსიმალური სიგანე არის 6-7 კმ, ხოლო სიგრძე ივრის გასწვრივ 20-22 კმ. სიმაღლე 100-200 მ. ვაკე წარმოქმნილია მეოთხეული ალუვიური თიხნარებით და შეადგენს მტკვარ-არაქსის დაბლობის ნაწილს. ვაკეზე წლიურად მოდის 250-300 მმ ნალექი, ამის გამოა რომ აქ მდინარის ჩამონადენის მოდული ძალზე დაბალია 1-2 ლ/წმ კმ².

აღსანიშნავია, ასევე პატარა შირაქის ვაკე (სიგრძე 15 კმ), აღსანიშნავია ასევე ბორცვიანი ჭაჭუნის ვაკე.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 28 წევრისგან. მათგან 15 არჩეულია პროპორციული, ხოლო 13 მაჟორიტარული სისტემით. წარმომადგენლობით ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია; საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია; საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია; საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისია.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტებში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ) და მუნიციპალური შპს-ს მეშვეობით.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სულ 14 ადმინისტრაციულ ერთეულში - ტერიტორიულ თემშია თავმოყრილი, საიდანაც ერთი ქალაქია (ქალაქი დედოფლისწყარო) და 13 სასოფლო თემი. თემებია: ზემო მაჩხაანი, მირზაანი, არბოშიკი, ოზაანი-თავწყარო, გამარჯვება, ხორნაბუჯი-ჭოეთი, სამრეკლო, ზემო ქედი, არხილოსკალო, ქვემო ქედი, სამთაწყარო, ფიროსმანი, საბათლო.

მოსახლეობა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით **21 221** კაცია. აქედან ქალაქ დედოფლისწყაროში 5 940 და სოფლად 15 281 ადამიანი ცხოვრობს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 0,57%, ხოლო კახეთის რეგიონის 6,6 %-ს შეადგენს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2018 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახელება	**მოსახლეობა**	**ფართობი (კვ. კმ)**
სულ საქართველო	3 716 900	69 700,0
კახეთის რეგიონი	318 583	11 310,0
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	21,221	2532,0
პროცენტი საქართველოსთან	0,57%	3,6%
პროცენტი რეგიონთან	6,6%	22,4%

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 6 039 ათასი პენსიონერი. 1 599 ოჯახი სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეა.

ეკონომიკა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით მოიპოვება კირქვა. მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობიდან ფუნქციონირებს ორი მძლავრი კირქვის საწარმო, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნავთობსარეწი , რომელიც მოიცავს მირზაანის, პატარა შირაქისა და ტარიბანის საბადოებს, მსოფლიოში ერთერთი უძველესია. ჯერკიდევ XVI-XVII საუკუნეებში ხდებოდა ნავთობის მოპოვება. 1997 წლიდან ნავთობსარეწზე კვლევა -ძიებისა მოპოვების სამუშაობს აწრმოებდა ამერიკული კომპანია ,,ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“.

ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, დედოფლისწყარო ცნობილია, როგორც ხორბლისა და ღვინის მხარე, რომელსაც პურის ბეღელს უწოდებენ, აქ არის განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მოჰყავთ მარცვლოვანი კულტურა და სხვა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თბილისი - დედოფლისწყაროს სარკინიგზო ხაზის საბოლოო პუნქტი დაშორებულია 144 კმ-ით.

საჯარო დაწესებულებები

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები . მათ შორისაა:

- 15 საჯარო და 1 კერძო სკოლა;
- 17 საბავშვო ბაღი;
- 5 კულტურის სახლი;

- ა(ა)იპ სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი;
- 14 ბიბლიოთეკა;
- საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული ახალგაზრდული ინტელექტკლუბი ;
- მხარეთმცოდნეობისა და ხალხთა მეგობრობის მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან არსებული ფიროსმანის სახლ-მუზეუმი;
- კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდული თეატრი ,,ბერიკონი"
- 4 სამუსიკო სკოლა
- 1 სამხატვრო სკოლა

ღირსშესანიშნაობები

ღირსშესანიშნაობებიდან გამოსაყოფია: ხორნაბუჯის ციხე, წმ. ელიის ტაძარი, ამაღლების გუმბათიანი ტაძარი, სერაფიმ საროველის ტაძარი, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარი, წმ. კვირიკეს და ივლიტას სახ. ეკლესია მთავარანგელოზის დასის სახ. ეკლესია, წმ. გიორგის თავის კვეთის სახ.ეკლესია, წმ. გიორგის ბორბალზე გაკვრის სახ. არმათიონის ეკლესია, კვირაცხოვლის სახ. ეკლესია, ღვთისმშობლის შობის სახ. სამლოცველო. ასევე ვაშლოვანის დაცული ტერიტორია, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ნაკრძალს, ძეგლებსა და ეროვნულ პარკს, აგრეთვე, განსაკუთრებული ბუნებრივი ფასეულობების მქონე ძეგლები, ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი(კაკლის ყურე), არწივის ხეობა და ტახტი თეფას ტალახის ვულკანები.

ბიუჯეტი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენს 14 761,5 ათას ლარს. მათ შორის ბიუჯეტის შემოსულობები 12 568,8 ათასი ლარია. აქედან შემოსავლები 12 528,8 ათასი ლარს შეადგენს, ფინანსური აქტივების ცვლილება 2 192,7 ათას ლარს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 5 696,2 ათასი ლარია, ხოლო ფინანსური აქტივების ცვლილება 40,0 ათასი ლარი.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2019-2024 წლებში

შემოსულობები

2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2021-2024 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2019 –2024 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	2019 ფაქტი	2020 გეგმა	2021 პროექტი	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
შემოსულობები სულ	**13 052,7**	**12 568,8**	**11 284,9**	**12 119,6**	**13 355,5**	**15 327,0**
შემოსავლები	**12 982,6**	**12 528,8**	**11 244,9**	**12 079,6**	**13 315,5**	**15 277,0**
გადასახადები	**4 643,7**	**4 527,6**	**4 897.1**	**5 451.2**	**6 411.6**	**8 092.5**
დამატებული ღირებულების გადასახადი	**1 493,1**	**1 477,6**	**1 847,1**	**2 401,2**	**3 361,6**	**5 042,5**
ქონების გადასახადი	**3 150,6**	**3 050,0**	**3 050.0**	**3 050.0**	**3 050.0**	**3 050.0**
გრანტები	**5 574,9**	**5 696,2**	**4 042,8**	**4 318,4**	**4 593,8**	**4 869,5**
საერთაშორისო ორგანიზ. მიღებული გრანტები						
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	**5 574,9**	**5 696,2**	**4 042,8**	**4 318,4**	**4 593,8**	**4 869,5**
მიზნობრივი ტრანსფერი	185,0	185,0	185.0	185.0	185.0	185.0
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	5 389,9	5 511,2	3 857,8	4 133,4	4 408,8	4 684,5
სხვა შემოსავლები	**2 764,0**	**2 305,0**	**2 305.0**	**2 310.0**	**2 310.0**	**2 315.0**
არაფინანსური აქტივების კლება	**70,1**	**40,0**	**40.0**	**40.0**	**40.0**	**50.0**

გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალიწინებით 2021-2024 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;

- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით 2019 –2024 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	პრიორიტეტის კოდი	2019 ფაქტი	2020 გეგმა	2021 პროექტი	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 როგნოზი
გადასახდელები სულ		**12 795,9**	**14 761,5**	**12 015.1**	**12 169.8**	**12 222.4**	**12 268.4**
ინფრასტრუქტურის განვითარება	02 00	4 485,0	6 544,4	4 735.0	4 755.0	4 772.0	4 800.0
დასუფთავება და გარემოს დაცვა	03 00	1 019,5	750,0	750.0	800.0	805.0	810.0
განათლება	04 00	2 316,1	2 199,1	2 000.0	2 005.0	2 006.0	2 008.0
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	05 00	1 367,5	1 425,6	1 167.0	1 183.0	1 193.0	1 204.0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	06 00	729,6	772,5	757.3	764.3	771.9	771.9
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	01 00	2 878,2	3 069,9	2 605.8	2 662.5	2 674.5	2 674.5

ბიუჯეტის ბალანსი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი 2019 –2024 წლებში

ათას ლარში

დასახელება	2019 ფაქტი	2020 გეგმა	2021 პროექტი	2022 პროგნოზი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი
I. შემოსავლები	**12 982,6**	**12 528,8**	**11 244,9**	**12 079,6**	**13 315,5**	**15 277,0**
გადასახადები	4 643,7	4 527,6	4 897.1	5 451.2	6 411.6	8 092.5
გრანტები	5 574,9	5 696,2	4 042,8	4 318,4	4 593,9	4 669,5
სხვა შემოსავლები	2 764,0	2 305,0	2 305.0	2 310.0	2 310.0	2 315.0
II. ხარჯები	**7 173,0**	**7 506,5**	**7 547.1**	**7 690.8**	**7 733.4**	**7 764.4**
შრომის ანაზღაურება	1 470,9	1 612,8	1 612.8	1 612.8	1 612.8	1 612.8
საქონელი და მომსახურება	976,5	920,9	742.0	792.7	804.7	804.7
პროცენტი	26,6	30,5	30.5	30.5	30.5	30.5
სუბსიდიები	4 260,1	4 328,1	4 667.0	4 755.0	4 785.6	4 816.6
გრანტები	35,0	35,0	35.0	35.0	35.0	35.0
სოციალური უზრუნველყოფა	343,7	361,7	362.3	362.3	362.3	362.3
სხვა ხარჯები	60,2	217,5	97.5	102.5	102.5	102.5
III. საოპერაციო სალდო	**5 809,6**	**5 022,3**	**-160.0**	**255.4**	**1 173.2**	**2 828.1**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**5 526,2**	**7 162,0**	**4 375.0**	**4 386.0**	**4 396.0**	**4 401.0**
ზრდა	5 596,3	7 202,0	4 415.0	4 426.0	4 436.0	4 451.0
კლება	70,1	40,0	40.0	40.0	40.0	50.0
V. მთლიანი სალდო	**283,4**	**-2 139,7**	**-677,2**	**2,8**	**1 186,1**	**3 111,6**

VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**256,8**	**-2 192,7**				
ზრდა	638,1					
ვალუტა და დეპოზიტები	638,1					
კლება	381,3	2 192,7				
ვალუტა და დეპოზიტები						
VII. ვალდებულებების ცვლილება	**-26,6**	**-53,0**	**-53.0**	**-53.0**	**-53.0**	**-53.0**
კლება						
საშინაო	26,6	53,0	53.0	53.0	53.0	53.0
სესხები						
სხვა კრედიტორული დავალიანებები						
VIII. ბალანსი						

2019-2020 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

2019 წლის ბიუჯეტის შესრულება

2019 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) და ნაშთი ცვლილების გეგმა განისაზღვრა 12 302,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 13 052,7 ათასი ლარი, ანუ 106.1%-ი.

მათ შორის:

ბიუჯეტის **შემოსავლების** (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 12 982.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12 228.5 ათასი ლარი) 106,1% მათ შორის:

გადასახადების სახით მობილიზებულია 4 643.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 4 494.6 ათასი ლარის 103.3 %. წინა წელთან შედარებით (ფაქტი 3 480.3ათასი ლარი) მიმდინარე წელში 1 163.4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. **გრანტების** სახით მიღებულია 5 574.9 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 185,0 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 5 389.9ათასი ლარი.)

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 2764.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 2144.8 ათასი ლარის 128.8%-ია. მათ შორის: წინა წლის ბოლოს დაგროვილმა ნაშთმა 2 647.1 ათასი ლარი შეადგინა.

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2019 წელს მობილიზებული იქნა 70.1 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (73.5ათასი ლარის) 95.4%-ია. **ფინანსური აქტივების კლების** სახით ასახულ იქნა 381.3 ათასი ლარი,

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, 2019 წლის მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 12 795,9 ათასი ლარი. აქედან შრომის ანაზღაურება შეადგენს 1 470,9 ათას ლარს, საქონელი და მომსახურება - 976,5 ათას ლარს, პროცენტის ხარჯი შეადგენს 26,6 ათას ლარს, სუბსიდიებში გახარჯულია 20,0 ათასი ლარი, გრანტები 35,0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან დახარჯულია 343,7 ათასი ლარი, სხვა ხარჯებიდან 60,2 ათასი ლარი,

არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 5 596,3 ათას ლარს, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები შეადგენს 4 587,2 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის (საკუთარი შემოსავალი) ხარჯი 1 009,1 ათასი ლარია.

2019 წლის ბოლოს ნაშთმა შეადგინა - 2904,2 ათასი ლარი.

2019 წელს ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელდა შემდეგი პროექტები: სამრეკლოს პირველი ქუჩის დარჩენილ მონაკვეთზე მოეწყო ასფალტის საფარი, პროექტის ღირებულებამ შეადგინა- 349 578 ლარი; ქ. დედოფლისწყაროში, პუშკინის ქუჩაზე ასფალტის საფარის რეაბილიტაცია და პუშკინის ქუჩის რუსთაველის ქუჩასთან დამაკავშირებელ გზაზე ასფალტის საფარის მოწყობა, პროექტის ღირებულებამ შეადგინა- 280 949 ლარი; ქ. დედოფლისწყაროში და სოფ. ხორნაბუჯში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მოეწყო გარე განათების ქსელი, პროექტის ღირებულებამ შეადგინა- 121 348 ლარი; ქ. დედოფლისწყაროში ბარათაშვილის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და საბავშვო გასართობი მოედნის მოწყობა, პროექტის ღირებულებამ შეადგინა -191 313 ლარი; სოფ.ზემო ქედში ე.წ. გერმანელების უბანში გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულებამ შეადგინა- 334 725 ლარი; სოფ.ზემო მაჩხაანში წმ.გიორგის სახელობის ეკლესიასთან და სააფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულებამ შეადგინა- 451 239 ლარი; ქ. დედოფლისწყაროში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დარჩენილი მონაკვეთების (9 აპრილის შესახვევის, ჰ.გონაშვილის, ფ.ფალიაშვილის, თაყაიშვილის, თბილისის და მთის ქუჩები) გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულებამ შეადგინა -628 215 ლარი; სოფ. არბოშიკში ე.წ. უთრუთაანთ უბნის გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულებამ შეადგინა- 421 798 ლარი; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების და ქ. დედოფლისწყაროს შიდა საავტომობილო გზებზე გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია, ღირებულებით- 284 579 ლარი; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქ. დედოფლისწყაროში კონსტიტუციისა და ქიზიყის ქუჩებზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით -72 949 ლარი; სოფ.ოზაანში სკოლასთან და ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, თანხით- 456 756 ლარი; ქ. დედოფლისწყაროში სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის სამუშაოები, ღირებულებით- 278 467 ლარი; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წელს 7 საჯარო სკოლაში განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები ღირებულებით - 274 374 ლარი; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ინფრასტრუქტურული პროექტები ღირებულებით- 326 788 ლარი; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 6 სოფელში ამბულატორიების რეაბილიტაცია, ღირებულებით -84 857 ლარს; ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით -9 590 ლარი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ქედის, სოფ. სამრეკლოს, ქ. დედოფლისწყაროს N2 საბავშვო ბაღის სარებილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით-18 542 ლარი; ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალური სტადიონის კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით- 26 136 ლარი; ქ. დედოფლისწყაროში ელია თეზბითელის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით-14 559 ლარი; ქ. დედოფლისწყაროს სოფ. ფიროსმანის 2019 წლის 25 მაისის სტიქიური მოვლენის შედეგად მოქალაქე თენგიზ მახარაძეს დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ღირებულებით- 9 651 ლარი; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქალაქ დედოფლისწყაროში, პუშკინის ქუჩაზე დეკორატიული კედლის, ბავშვთა დასასვენებელი მოედნის და ატრაქციონის მოწყობა, ღირებულებით -61 127 ლარი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2019 წელს დაიგეგმა და ჩატარდა სხვადასხვა კულტურული, სპორტული, შემეცნებითი და ინტელექტუალური ღონისძიებები.

ჩატარდა ტრენინგები. მოეწყო აქტივობები, ვიქტორინები, კალიგრაფიის, მხიარულთა და საზრიანთა კლუბის კონკურსები, მხატვრულ-შემოქმედებითი ღონისძიებები, ეთნოგრაფიული და რელიგიური სემინარები. შედგა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან და გაიმართა დებატები. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს 73-ე სასწავლო - შემოქმედებით კონფერენციაში. კულტურის ცენტრმა შობის დღესასწაულზე გამართა მსვლელობა „ალილო“, აღინიშნა ქალთა საერთაშორისო და დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, 9 აპრილის მემორიალთან მოეწყო დამოუკიდებლობისთვის დაღუპულთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი მსვლელობა. აღინიშნა დედაენის დღე. იმართებოდა პოეტების საიუბილეო საღამოები. ჩატარდა ლიტერატურული სპექტაკლი, რომელიც ნიკო ფიროსმანის 100 წლისთავს მიეძღვნა. 9 მაისს დიდების მემორიალთან აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების 74 წლისთავი, 26 მაისს გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი „პურისა და ღვინის“ ფესტივალი. სადღესასწაულო კონცერტი მიეძღვნა ბავშვთა დაცვის დღეს. სოფელ ოზაანში აღინიშნა „ამაღლებობა“. მოეწყო შეხვედრა საბავშვო ბაღის ამაგდარ პედაგოგებთან. ბავშვთა და ახალგაზრდულ საგუნდო კოლექტივების კონკურსში მიიღო მონაწილეობა გოგონათა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მანდილი“. საანგარიშო კონცერტი გამართა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ხორნაბუჯი“. გაიმართა საქველმოქმედო კონცერტები, მოეწყო სამხატვრო ნამუშევრების გამოფენები. ვოკალურ-საკრავიერო ანსამბლმა „ქიზიყი“ მონაწილეობა მიიღო ფესტივალზე „არტგენი-2019“. აღინიშნა სახალხო მთქმელის - ივანე წიკლაურის 100 წლისთავი. ახალგაზრდულმა თეატრმა „ბერიკონი“ წარმოდგინა პრემიერა - „ძლევაი საკვირველი“. გაიმართა ფესტივალი „დედოფლისწყაროობა-2019“. ზაფხულის განმავლობაში კულტურის სახლის ეზოში ყოველ საღამოს ეწყობოდა ახალგაზრდული გასართობი ღონისძიებები. გაიმართა მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ქ. თელავში ჩატარდა „ჭაჭის“ ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა. სოფელ მირზაანში აღინიშნა სახალხო ფესტივალი „ფიროსმანობა-2019“. ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე გაიმართა წინასაახალწლო ღონისძიება. აღინიშნა მუზეუმის საერთაშორისო დღე. მუშავდებოდა თემები, მოეწყო ახალგაზრდა მხატვრის - სოფიო კირვალიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. მოეწყო ხელნაკეთი ნივთებისა და ნახატების გამოფენა. მუნიციპალური ბიბლიოთეკა წლის განმავლობაში აწყობდა მკითხველთა კონფერენციებს, წიგნის განხილვას, სხვადასხვა სახის შეხვედრებს, წიგნით მოგზაურობას, ლიტერატურული საღამოებს, ლიტერატურულს დილებს, ლექცია-მოხსენებებს, ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს, ეწყობოდა გამოფენები, აღინიშნა წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე.

დედოფლისწყაროელი სპორტსმენები არაერთ საპრიზო ადგილზე გავიდნენ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ ტურნირებსა და საერთაშორისო ჩემპიონატებში. შედგა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირები ჭადრაკში, გაიმართა მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, ჩატარდა ტურნირები კალათბურთსა და ფრენბურთში, გაიმართა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში ვეტერანებს შორის, მკლავჭიდსა და ქართულ ჭიდაობაში. მიიღეს მონაწილეობა რესპუბლიკურ ტურნირ უშუ-სანდაში, გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და სიგელებით. ყოველ წელს 1 აგვისტოს იმართება საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში „რინგის რაინდები 2019“. „დედოფლისყაროობის“ დღესასწაულზე ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი ეწყობა ქართულ ჭიდაობაში. მოეწყო კახეთის პირველობა ძალისმიერ სპორტში. 2019 წელს გაიხსნა ახალგაზრდობის ცენტრი „იბერია“, რომელმაც ჩაატარა ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდებისთვის საინტერესო ღონისძიებები. გაიმართა „ესეების კონკურსი“. ასევე დაფუძნდა „უფროსკლასელთა ლიგა“, მოეწყო საგანმანათლებლო საუბრები უმცროს კლასელებთან, აღინიშნა დედამიწის საერთაშორისო დღე, მოეწყო ფოტოკონკურსი, ჩატარდა ინტელექტუალური თამაშების ტურნე. აგვისტოს თვეში მოწყო საზაფხულო ბანაკი ქალაქის პირველ საჯარო სკოლაში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ განხორციელდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2,300 ათასი ლარით, პროგრამის მიზანს წარმოადგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული, პროგრამით გათვალისწინებული სტატუსის მქონე პირების სარიტუალო მომსახურება, პროგრამით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 1,200 ათასი ლარი.

2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველთვიური დახმარება მოხმარებული ელექტრო ენერგიისა და ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად ბენეფიციარის არჩევანის შესაბამისად დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 55,000 ათასი ლარით, პროგრამის მიზანია მოხმარებული ელექტროენერგიის ან ბუნებრივი აირის ღირებულების დაფარვა ბენეფიციარის არჩევანის შესაბამისად. (მშშს,შშს მქონე არასრულწლოვან ბავშვთა, ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა, მარტოხელა მშობელთა, მრავალშვილიან მშობელთა (ერთი, ორი ან სამი არასრულწლოვანი ბავშვით მათ შორის გერი შვილ(ებ)ი), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულისა და მეორე მსოფლიო ომის მონაწილის ოჯახები). წლის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 225-მა ნებეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 50,289 ათასი ლარი.

3. II მსოფლიო ომის მონაწილე ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1,250 ლარით, პროგრამა მოიცავს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების ერთჯერად დახმარებას. პროგრამის მიზანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები II მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 1,000 ათასი ლარი.

4. ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 240,000 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფა უფასო სასადილოში ერთჯერადად დღეში, პროგრამით ისარგებლა 250 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 238,974 ათასი ლარი.

5. სუბსიდია _ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ზოგადად მოწყვლადი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქალაქსა და სოფლებში. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 52,000 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სამედიცინო და ჰუმანიტარული დახმარების მიღება. პროგრამით ისარგებლა 4500 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 52,000 ათასი ლარი.

6. ხანძრით, მიწისძვრით, ბუნებრივი კატასტროფით, სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახი და ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ბინის ქირით უზრუნველყოფაის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 18,000 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უბინაო ოჯახების ბინით უზრუნველყოფა. პროგრამით ისარგებლა 21-მა ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 14,476 ათასი ლარი.

7. 100 და 100 წელზე ზევით ხანდაზმულ მოქალაქეზე ერთჯერადი ფინასური დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია 100 და 100 წელზე ზევით ხანდაზმულ მოქალაქეზე გაიცემა ერთჯერადი ფულადი საჩუქარი იუბილესთან დაკავშირებით. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 300 ლარით. პროგრამით ისარგებლა 1 ბენეფიციარმა, პროგრამიდან გახარჯულია 300 ლარი.

8. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 11,000 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება. პროგრამით ისარგებლა 11 ბენეფიციარმა, პროგრამიდან გახარჯულია 11,000 ათასი ლარი.

9. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა ყოველ ახალშობილზე. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 58,000 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა დემოგრაფიის გაუმჯობესების და შობადობის მატების მიზნით. პროგრამით ისარგებლა 184 ახალშობილის ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 55,200 ათასი ლარი.

10. უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1,200 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება, პროგრამით არ უსარგებლია არცერთ ბენეფიციარს.

11. ჰემოდიალიზზე მყოფ მოქალაქეებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 14,500 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია ჰემოდიალიზზე მყოფ მოქალაქეებზე სამედიცინო პროცედურების ჩასატარებლად ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით ყოველთვიური ფულადი დახმარება. პროგრამით ისარგებლა 11 ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 12,054 ათასი ლარი.

12. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 109,150 ათასი ლარით. პროგრამა ითვალისწინებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, როგორიცაა სამედიცინო კვლევები, ქირურგიული ოპერაციები, სტაციონარული მკურნალობა, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის მიზანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების, სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევების დაფინანსება. პროგრამიდან გახარჯულია 99,920 ათასი ლარი. ისარგებლა 305 ბენეფიციარმა.

13. სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის მიზნით ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 80,000 ათასი ლარით. პროგრამით ისარგებლა 800 ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 80,000 ათასი ლარი.

14. მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინასური დახმარებაის პროგრამა. პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინასური დახმარება სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 14,600 ათასი ლარით. პროგრამით ისარგებლა 62 ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 13,800 ათასი ლარი.

15. აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე არასრულწლოვან ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე არასრულწლოვან ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 7,000 ათასი ლარით. პროგრამით ისარგებლა 9 ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 4,500 ათასი ლარი.

2020 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

2020 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი **შემოსულობები** დაგეგმილია 12 568,8 ათასი ლარით, ხოლო **შემოსავლები** 12 528,8 ათასი ლარით, მათ შორის: **გადასახადები** 4 527,6 ათასი ლარი, **გრანტები** 5 696,2 ათასი ლარი, **სხვა შემოსავლები** 2 305,0 ათასი ლარი, **არაფინანსური აქტივების კლებიდან** შემოსავალი განსაზღვრულია 40,0 ათასი ლარის ფარგლებში.

2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის გეგმა შეადგენს 5 696,2 ათას ლარს. ფინანსდება გზების მშენებლობა, ნაპირსამაგრების და სანიაღვრე არხების მოწყობა, სპორტული ნაგებობების მშენებლობა და სარეკონსტრუქციო სამუშაოები, წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა და რეაბილიტაცია, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებები. ხორციელდება სარწყავი და სანიაღვრე არხების, შიდა სასოფლო გზების, ხიდების და ბოგირების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოსახლეობისათვის დაზიანებული სახლის სახურავების შეკეთებისათვის მასალების შეძენა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წელს განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები:

1.განხორციელდა სოფელ ზემო ქედის ე.წოდებული „გერმანელების“ უბნის დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება შეადგენს- 291 469 ლარს;

2. განხორციელდა სოფ.გამარჯვებაში შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება შეადგენს- 306 696 ლარს;

3. განხორციელდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანში სკვერის და საბავშვო ატრაქციონების მოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს- 142 365 ლარს;

4. მიმდინარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქალაქ დედოფლისწყაროსა და სოფლებში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები (ქალაქ დედოფლისწყაროში ფალიაშვილის ჩიხების გზის რეაბილიტაცია(სანიაღვრე არხის მოწყობა), სოფელ სამრეკლოში და სოფელ ხორნაბუჯში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა, სოფ.ოზაანში სანიაღვრე არხის მოწყობა) პროექტის ღირებულება შეადგენს- -148 972 ლარი;

5. მიმდინარეობს ქალაქ დედოფლისწყაროში შიდა საავტომობილო გზების დარჩენილ მონაკვეთებზე ასფალტის საფარის მოწყობა (არხოტის ქუჩის, თამარის ქუჩის, ორბელიანის ქუჩის, ცხრა ძმის ქუჩის ჩიხების, წმინდა ნინოს ქუჩის, ფალიაშვილის ქუჩის ჩიხების, გორგასლის ქუჩის ჩიხების, რუსთაველის ქუჩის I შესახვევის, რუსთაველს ქუჩის N90 და N104-ის მონაკვეთის და სათნოების სახლთან მისასვლელი გზების) პროექტის ღირებულება შეადგენს- 754 673 ლარი;

6. მიმდინარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში მინი სპორტული მოედნისა და საბავშვო გასართობი სკვერის მოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს- 162 775 ლარს;

7.მიმდინარეობს სოფელ ზემო მაჩხაანში შიდა საავტომობილო გზების (მე-2 და მე-9 ქუჩების რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება შეადგენს- 559 949 ლარს;

8.მიმდინარეობს სოფ. საბათლოში არსებული საჯარო სკოლის შენობაში არსებული საბავშვო ბაღის ფართის 1 ჯგუფზე რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება შეადგენს- 157 700 ლარს.

9. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წელს 8 საჯარო სკოლის მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებაა - 369 093 ლარი.

10. მიმდინარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წელს სოფლის მხარდაჭერის პ როგრამით სოფლის ინფრასტრუქტურული პროექტები ღირებულებით- 303115 ლარი;

11. განხორციელდა ქ.დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის ღობის მოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს- 6000 ლარს;

12. დაგეგმილია სოფელ ჭოეთში საბავშვო ბაღის და სკოლის აღსაზრდელებისთვის განკუთვნილ ადგილზე მოსაცდელის მოწყობა და შიდა საუბნო წყლის ქსელის მოწყობა, ღირებუ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2020 წელს დაიგეგმა და ჩატარდა სხვადასხვა კულტურული, სპორტული, შემეცნებითი და ინტელექტუალური ღონისძიებები.

ჩატარდა სახალხო მსვლელობა,, ალილო“ ასევე ძველით ახალი წლის საზეიმო კონცერტი. ჩატარდა ონლაინ კონკურსები საქართველოს დამოუკიდებლობისა და ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, ასევე ჩატარდა ,,საჯარო გამოსვლებისა და დებატების კონკურსი“ გამარჯვებული დაჯილდოვდა ნოუთბუქით.

დაგეგმილია შეხვედრა ქართველ კომპოზიტორ მერაბ მერაბიშვილთან, ასევე გაიმართება საშემოდგომო და საახალწლო ღონისძიებები, ინტელექტუალური და შემოქმედებითი კონკურსები, ღონისძიებები მსწავლებლის დღესთან დაკავშირებით,გარემოს დაცვის, გიორგობის დღესთან დაკავშირებით,,ოდა ვაზისა“ ჩატარდება ტურნირები ჩოგბურთსა და ჭადრაკში. დაგეგმილია ფსიქოლოგის შეხვედრები ახალგაზრდებთან, ინტელექტუალური თამაშები ,,რა? სად ? როდის? მოეწყობა ექსკურსიები, ჩატარდება სახალხო დღესასწაული ,,ფიროსმანობა“ ფოლკროლური ანსამბლები მონაწილეობას მიიღებე ადგილობრივ და გასვლით ფესტივალებსა და დათვალიერებებზე.

საბავშვო თეატრი ,,ბერიკონი“ გამართავს სპექტაკლის პრემიერას, კულტურის სახლში მოეწყობა საახალწლო ღონისძიება ზღაპარი საბავშვო შემოქმედებითი ჯგუფის მონაწილეობით, ასევე ჩატარდება საახალწლო ღონისძიება ღია ცის ქვეშ მოედანზე, მთავარ ნაძვის ხესთან.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ განხორციელდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წლის შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2,3 ათასი ლარით, პროგრამის მიზანს წარმოადგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული, პროგრამით გათვალისწინებული სტატუსის მქონე პირების სარიტუალო მომსახურება, პროგრამით ჯერჯერობით არ უსარგებლია არცერთ ბენეფიციარს.

2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველთვიური დახმარება მოხმარებული ელექტრო ენერგიისა და ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად ბენეფიციარის არჩევანის შესაბამისად დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 55 ათასი ლარით, პროგრამის მიზანია მოხმარებული ელექტროენერგიის ან ბუნებრივი აირის ღირებულების დაფარვა ბენეფიციარის არჩევანის შესაბამისად. (მშშს,შშს მქონე არასრულწლოვან ბავშვთა, ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა, მარტოხელა მშობელთა, მრავალშვილიან მშობელთა (ერთი, ორი ან სამი არასრულწლოვანი ბავშვით მათ შორის გერი შვილ(ებ)ი), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულისა და მეორე მსოფლიო ომის მონაწილის ოჯახები). წლის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 206-მა ნებეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 7,024 ათასი ლარი.

3. II მსოფლიო ომის მონაწილე ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 750 ლარით, პროგრამა მოიცავს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების ერთჯერად დახმარებას. პროგრამის მიზანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები II მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით ისარგებლა 3 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 750 ლარი.

4. ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 245 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფა უფასო სასადილოში ერთჯერადად დღეში, პროგრამით სარგებლობს 210 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 118,409 ათასი ლარი.

5. სუბსიდია _ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ზოგადად მოწყვლადი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის

გაუმჯობესება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქალაქსა და სოფლებში. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 52 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სამედიცინო და ჰუმანიტარული დახმარების მიღება. პროგრამით სარგებლობს 4500 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 22,953 ათასი ლარი.

6. ხანძრით, მიწისძვრით, ბუნებრივი კატასტროფით, სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახი და ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ბინის ქირით უზრუნველყოფაის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 18 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უბინაო ოჯახების ბინით უზრუნველყოფა. პროგრამით ისარგებლა 18-მა ოჯახმა, პროგრამიდან გახარჯულია 4,585 ათასი ლარი.

7. 100 და 100 წელზე ზევით ხანდაზმულ მოქალაქეზე ერთჯერადი ფინასური დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია 100 და 100 წელზე ზევით ხანდაზმულ მოქალაქეზე გაიცემა ერთჯერადი ფულადი საჩუქარი იუბილესთან დაკავშირებით. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 900 ლარით. პროგრამით ისარგებლა 1 ბენეფიციარმა, პროგრამიდან გახარჯულია 300 ლარი.

8. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 11 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 11 ათასი ლარით. პროგრამით ისარგებლა 11 ბენეფიციარმა, პროგრამიდან გახარჯულია 11 ათასი ლარი.

9. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა ყოველ ახალშობილზე. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 58 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა დემოგრაფიის გაუმჯობესების და შობადობის მატების მიზნით. პროგრამით ისარგებლა 67 ახალშობილის ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 20,100 ათასი ლარი.

10. ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 14 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია ჰემოდიალიზზე მყოფ მოქალაქეებზე სამედიცინო პროცედურების ჩასატარებლად ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით ყოველთვიური ფულადი დახმარება. პროგრამით ისარგებლა 9 ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 5,335 ათასი ლარი.

11. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 110,350 ათასი ლარით. პროგრამა ითვალისწინებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, როგორიცაა სამედიცინო კვლევები, ქირურგიული ოპერაციები, სტაციონარული მკურნალობა, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის მიზანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების, სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევების დაფინანსება. პროგრამიდან გახარჯულია 35,357 ათასი ლარი. ისარგებლა 131 ბენეფიციარმა.

12. სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის მიზნით ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 80 ათასი ლარით. პროგრამით ისარგებლა 800 ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 80 ათასი ლარი.

13. მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინასური დახმარებაის პროგრამა. პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინასური დახმარება სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15 ათასი ლარით. პროგრამით ისარგებლა 52 ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 11,650 ათასი ლარი.

14. აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე არასრულწლოვან ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე არასრულწლოვან ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 7 ათასი ლარით. პროგრამით ისარგებლა 9 ოჯახმა. პროგრამიდან გახარჯულია 4,5 ათასი ლარი.

თავი III. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანების შესაბამისად 2021-2024 წლებში ბიუჯეტის განსაზღვრულ პრიორიტეტებზე და ბიუჯეტიდან დაფინანსებული ძირითად პროგრამებზე ასიგნებების ზღვრული მოცულობები განისაზღვროს შემდეგი ოდენობებით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის დასახელება	2021 წლის ასიგნებების ზღვრული მოცულობა	2022 წლის ასიგნებების ზღვრული მოცულობა	2023 წლის ასიგნებების ზღვრული მოცულობა	2024 წლის ასიგნებების ზღვრული მოცულობა
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**2,605.8**	**2,662.5**	**2,674.5**	**2,674.5**
01 01	**საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა**	**2,550.8**	**2,607.5**	**2,619.5**	**2,619.5**
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	671.4	693.0	699.0	699.0
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1,768.2	1,803.3	1,809.3	1,809.3
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	111.2	111.2	111.2	111.2
01 02	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების**	**55.0**	**55.0**	**55.0**	**55.0**
01 02 01	სარეზერვო ფონდი	50.0	50.0	50.0	50.0
01 02 02	შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები	5.0	5.0	5.0	5.0
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**4,735.0**	**4,755.0**	**4,772.0**	**4,800.0**
02 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	**3,800.0**	**3,805.0**	**3,810.0**	**3,820.0**
02 02	**წყლის სისტემების განვითარება**	635.0	645.0	652.0	660.0
02 02 01	წყლის სისტემების ექსპლოატაცია	600.0	605.0	610.0	615.0
02 02 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	35.0	40.0	42.0	45.0
02 03	**გარე განათება**	**300.0**	**305.0**	**310.0**	**320.0**
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია	300.0	305.0	310.0	320.0
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**750.0**	**800.0**	**805.0**	**810.0**

03 01	**დასუფთავება და ნარჩენების გატანა**	**726.0**	**776.0**	**781.0**	**786.0**
03 02	**მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება**	**24.0**	**24.0**	**24.0**	**24.0**
04 00	**განათლება**	**2,000.0**	**2,005.0**	**2,006.0**	**2,008.0**
04 01	**სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა**	**2,000.0**	**2,005.0**	**2,006.0**	**2,008.0**
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**1,167.0**	**1,183.0**	**1,193.0**	**1,204.0**
05 01	**სპორტის სფეროს განვითარება**	**300.0**	**305.0**	**306.0**	**307.0**
05 01 03	სპორტის სფეროს ორგანიზაციების ხელშეწყობა	300.0	305.0	306.0	307.0
05 02	**კულტურის სფეროს განვითარება**	**754.0**	**763.0**	**770.0**	**778.0**
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	654.0	662.0	668.0	675.0
05 02 01 01	კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელშეწყობა	77.0	78.0	79.0	80.0
05 02 01 02	კულტურის სახლების ხელშეწყობა	250.0	252.0	253.0	255.0
05 02 01 03	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	77.0	78.0	79.0	80.0
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	51.5	52.0	53.0	53.0
05 02 01 05	ძეგლთა დაცვის ხელშეწყობა	8.5	9.0	9.0	9.0
05 02 01 06	ხელოვნების სკოლის ხელშეწყობა	140.0	142.0	143.0	145.0
05 02 01 07	ჰამლეტ გონაშვილის სახ. ქართული გალობისა და სიმღერის სკოლის ხელშეწყობა	50.0	51.0	52.0	53.0
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	100.0	101.0	102.0	103.0
05 03	**ახალგაზრდობის მხარდაჭერა**	**45.0**	**46.0**	**47.0**	**48.0**
05 04	**პრესის მომსახურება**	**68.0**	**69.0**	**70.0**	**71.0**
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**757.3**	**764.3**	**771.9**	**771.9**
06 01	**ა(ა)იპ - საზოგადოებრივი ჯანდაცვა**	**98.0**	**100.0**	**102.0**	**102.0**
06 02	**სოციალური დაცვის პროგრამები**	**659.3**	**664.3**	**669.9**	**669.9**

საფინანსო სამსახურმა პროგრამების განმახორციელებელ დარგობრივ სამსახურებს, ა(ა)იპ-ებს და შპს-ებს გაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმები.

პროგრამების განმახორციელებელმა შესაბამისმა დარგობრივმა სამსახურებმა, ა(ა)იპ-ებმა და შპს-ებმა საფინანსო სამსახურს საბიუჯეტო განაცხადის შევსებული ფორმები წარუდგინონ ამ ცხრილით დადგენილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში. ამასთან, ზღვრული მოცულობის ზემოთ ასიგნებები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას საბიუჯეტო განაცხადის ფორმით განსაზღრული წესის შესაბამისად. კერძოდ, მოთხოვნილი გაზრდილი დაფინანსება დასაბუთებული უნდა იქნას პროგრამის ინდიკატორის გაზრდილი სამიზნე მაჩვენებლით.

ინფრასტრუქტურის განვთარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათასი ლარი

პროგრამული. კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**4 735,0**	**4 755,0**	**4 772,0**	**4 800,0**
02 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	**3 800,0**	**3 805,0**	**3 810,0**	**3 820,0**
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	3 800	3 805	3 810	3 820
02 02	**წყლის სისტემების განვითარება**	**635,0**	**645,0**	**652,0**	**660,0**
02 02 01	წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია	600,0	605,0	610,0	615,0
02 02 02	წყლის სისტემის მოვლა პატრონობა	35,0	40,0	42,0	45,0
02 02 03	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა რეაბილიტაცია	-	-	-	-
02 03	**გარე განათება**	**300,0**	**305,0**	**310,0**	**320,0**
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	300,0	305,0	310,0	320,0
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	-	-	-	-

კოდი	**პროგრამის დასახელება**	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	**2021 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2023 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**
02 01			3,800.00	3,805.00	3,810.00	3,820.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური.**				

პროგრამის აღწერა	საგზაო ინფრასტრქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 48% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაობის ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ერთი ქვეპროგრამა: გზების შეკეთება-ექსპლუატაცია, რომელიც თავის თავში მოიცავს გზების მოვლა-შენახვას, მიმდინარე შეკეთება და გზების კაპიტალურ შეკეთებას. გზების მოვლა-შენახვის და მიმდინარე შეკეთების ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმოული შეკეთება), ასევე, არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 2500კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება; გზების კაპიტალური შეკეთების ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. სამუშაოების მოცულობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერზე. ბოლო წლების განმავლობაში, საშუალოდ წლის განმავლობაში, კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება 10 100 გრძ/მ გზას (მათ შორის ახალი გზებია 9 100 გრძ/მ), გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმინილი გადაუდებებლი აუცილებლობის გათვალისწინებით.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის საბოლოო მიზანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; პროგრამის საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი; ადგილობრივი გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა

კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**გზების შეკეთება-რეაბილიტაცია**	**2021 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2022 წლის დაფინანსებ ა ათას ლარში**	**2023 წლის დაფინანსებ ა ათას ლარში**	**2024 წლის დაფინანსებ ა ათას ლარში**
02 01 01			3,800.0	3,805.0	3,810.0	3,820.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური;**				

ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი 8 პროექტის განხორციელება: - სოფ. გამარჯვებაში ბეტონის კიუვეტების და ასფალტის საფარის მოწყობა ---740 გრძ.მ - სოფ.მირზაანში ე.წ. "რაჭველების უბანში" ბეტონის კიუვეტების და ასფალტის საფარის მოწყობა---925გრძ.მ. -სოფ. არხილოსკალოში ნეფროლოგიური ცენტრიდან, სოფლის ბოლომდე ბეტონის კიუვეტების და ასფალტის საფარის მოწყობა -- 4100 გრძ.მ - სოფ.ქვემო ქედში ობელისკიდან სოფლის ცენტრამდე ასფალტის საფარის მოწყობა --- 1160 გრძ.მ - დედოფლისწყაროში სკოლის ქუჩაზე ბეტონის კიუვეტების და ასფალტის საფარის მოწყობა---2170გრძ.მ - სოფ. ზემო მაჩხაანში ბეტონის კიუვეტების და ასფალტის საფარის მოწყობა --- 1500 გრძ.მ - სოფ.ოზაანში ამაღლების ტაძართან მისასვლელი გზის მოწყობა --- 680 გრძ.მ - დედოფლისწყაროში წყალსაქაჩიდან ბუნების ძეგლი-არწივის ხეობისკენ მიმავალი გზა -800 გრძ.მ გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2021 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გზების კაპიტალური შეკეთება შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა გზებზეც. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმინილი გადაუდებებლი აუცილებლობის გათვალისწინებით.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი, მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

კოდი	**პროგრამის დასახელება**	**წყლის სისტემების განვითარება**	**2021 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2023 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**
02 02			635.00	645.00	652.00	660.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური;**				

პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან: - წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია; - წყლის სისტემის მოვლა-პატრონობა; წყლის სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 14 სოფლის ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ანაზღაურდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯები. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმინილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებლი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად;

კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**წყლის სისტემების მშენებლობა რეაბილიტაცია**	**2021 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2023 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**
02 02 01			600.0	605.0	610.0	615.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური;**				

ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. ქვეპროგრამისათვის ასევე გამოყოფილია თანხები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებიდან. 2021 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება: - სოფ. მირზაანის წყალსადენის რეაბილიტაცია - ბენეფიციარი 650 ოჯახი; - სოფ. სამთაწყაროს წყალსადენის რეაბილიტაცია - ბენეფიციარი 1600 ოჯახი; გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმინილი გადაუდებებლი აუცილებლობის გათვალისწინებით.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებლი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად;

კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**წყლის სისტემების მოვლა - პატრონობა**	**2021 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2023 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**
02 02 02			35.0	40.0	42.0	45.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		**ა(ა) იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“**				
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის 6 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე მოაგარაკეებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით				

კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია**	**2021 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2023 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**
02 03 01			300.0	305.0	310.0	320.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		**ა(ა) იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“**				

ქვეპროგრამის აღწერა	დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. დედოფლისწაროში და 12 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 4 070 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების 4 070 სანათი წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას. გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ღამის საათებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა; გარე განათების ქსელის ფუნქციონირების მიზნით მუნიციპალურ ბალანსზე არსებული განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება; მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება; პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროული აღმოფხვრა; მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 100%;

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა სკვერებში, ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**750,0**	**800,0**	**805,0**	**810,0**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	726,0	776,0	781,0	786
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა	24,0	24,0	24,0	24,0

კოდი	**პროგრამის დასახელება**	**დასუფთავება და ნარჩენების გატანა**	**2021 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2023 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**
03 01			750.0	800.0	805.0	810.0

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ა(ა) იპ„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“**
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ა(ა) იპ„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“ ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 6 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა და 4 ერთეული თვითმცლელი. ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ დედოფლისწყაროდან და მუნიციპალიტეტის 10 სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის დედოფლიწყაროს ნაგავსაყრელებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 525 ერთეულს, მათ შორის 122 განთავსებულია ქ. დედოფლისწყაროში და 403 მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 60-70 მ/კუბ ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 241628 მ² ქუჩების, 10748 მ² ტროტუარების და 29830მ² სკვერების დასუფთავება. პროგრამიდან ფინანსდება ქალაქის სასაფლაოს მოვლა–პატრონობა, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურეობის გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“-ს ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს. პროგრამის ფარგლებში ქ.დედოფლისწყაროში, მიმდებარე სოფლებში (სამრეკლო,ხორნაბუჯი) ხორციელდება ქუჩებისა და ტროტუარების დასუფთავება, მერიის საკუთრებაში ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება. სუფთავდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი გზები და კიუვეტები. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიიდან გარდა სამი სოფლისა (საბათლო, ფიროსმანი, სამთაწყარო)
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივი სუფთა გარემოს არსებობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეული იქნება სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონე. მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა;

კოდი	**პროგრამის დასახელება**	**მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა**	**2021 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2023 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**
03 02			24.0	24.0	24.0	24.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		**ა(ა) იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“**				
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები, ნარგგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება 9 საშტატო ერთეულის ხელფასების დაფინანსება.				

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელვითი სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

(ათ. ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
04 00	**განათლება**	**2 000,0**	**2 005,0**	**2 006,0**	**2 008,0**
04 01	**სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა**	**2 000,0**	**2005,0**	**2 006,0**	**2 008,0**
04 02	**ზოგადი განათლება**	**-**	-	-	-

კოდი	**პროგრამის დასახელება**	**სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა**	**2021 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2023 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**
04 01			**2 000.0**	**2,005.0**	**2,006.0**	**2,008.0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		**ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრი**				

პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1 000-ზე მეტი ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღზრდელო პროცესის წარმართვას. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 238 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი., მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პერსონალი - 15, სააღმზრდელოს ადმინისტრაციაში - 17.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშო ბაღის მომსახურებით, შესაბამის სააღმზრდელო პროცესით. სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვები მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის კულტურის სამსახურის მიერ, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**1 167,0**	**1 183,0**	**1 193,0**	**1 204,0**
05 01	**სპორტის სფეროს განვითარება**	**300,0**	**305,0**	**306,0**	**307,0**
05 01 01	სპორტული ღონისძიებები				
05 01 02	სპორტული დარბაზების რეაბილიტაცია, მშენებლობა				
05 01 03	სპორტის სფეროს ორგანიზაციების ხელშეწყობა	300,0	305,0	306,0	307,0
05 02	**კულტურის სფეროს განვითარება**	**754,0**	**763,0**	**770,0**	**778,0**
05 02 01	**კულტურის სფეროს ორგანიზაციების ხელშეწყობა**	**654,0**	**662,0**	**668,0**	**675,0**
05 02 01 01	კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელშეწყობა	77,0	78,0	79,0	80,0
05 02 01 02	კულტურის სახლების ხელშეწყობა	250,0	252,0	253,0	255,0
05 02 01 03	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	77,0	78,0	79,0	80,0
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	51,5	52,0	53,0	53,0
05 02 01 05	ძეგლთა დაცვის ხელშეწყობა	8,5	9,0	9,0	9,0
05 02 01 06	ხელოვნების სკოლის ხელშეწყობა	140,0	142,0	143,0	145,0
05 02 01 07	ქართული გალობისა და სიმღერის სკოლის ხელშეწყობა	50,0	51,0	52,0	53,0
05 02 02	**კულტურული ღონისძიებები**	**100,0**	**101,0**	**102,0**	**103,0**
05 03	**ახალგაზრდობის მხარდაჭერა**	**45,0**	**46,0**	**47,0**	**48,0**
05 04	**პრესის მომსახურება**	**68,0**	**69,0**	**70,0**	**71,0**

კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**სპორტის სფეროს ორგანიზაციების ხელშეწყობა**	**2021 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2023 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**
05 01 02			405.0	445.0	445.0	445.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		**ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი**				
ქვეპროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტის დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა დაახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი უზრუნველყოფს სპორტული წრეების მუშაობას, 13 სპორტის სახეობის მიმართულებით, 15 სპორტულ ობიექტზე 21 მწვრთნელის მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის 8-დან 20 წლამდე 500-მდე მოზარდს. სპორტული წრეები შემდეგი მიმართულებით ფუნქციონირებს: ფეხბურთი 12 წრე, ჭიდაობა ძიუდო-2 წრე, თავისუფალი ჭიდაობა-2 წრე, ქართული ჭიდაობა-1 წრე, კიკბოქსინგი-1 წრე, უშუ სანდა-1 წრე, ძალისმიერი სპორტი-1 წრე, ფრენბურთი-1 წრე, კალათბურთი-2 წრე, მკლავჭიდი-1 წრე, რაგბი-1 წრე, კრივი-1 წრე ,მაგიდის ჩოგბურთი-1 წრე, აგრეთვე გეგმავს და ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს როგორც სამოყვარულო, ასევე პროფესიული სპორტის მიმართულებით. ცენტრი გეგმავს და ანხორციელებს ღონისძიებებს ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით და ხელს უწყობს მის დანერგვას და პოპულარიზაციას. ცენტრი ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და ანხორციელებს მათ დაჯილდოვებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ წრეებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც.				

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.

კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**კულტურის სფეროს ორგანიზაციების ხელშეწყობა**	**2021 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2023 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**
05 02 01			**654.0**	**662.0**	**668.0**	**675.0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		**ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი“**				
ქვეპროგრამის აღწერა		დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედგება 3 ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება 3 მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე, ესენია: ა(ა)იპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი; ა(ა)იპ - დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლა; ა(ა)იპ - დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახ. ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლა; ა(ა)იპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს და ფინანსდება ქალაქისა და სოფლების კულტურის სახლები, 14 ბიბლიოთეკა, 2 მუზეუმი, კულტურული მემკვიდეობის დაცვის სამსახური, ბავშვთა და მოზარდთა ანსამბლები, საბავშვო სტუდია, ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონი“. თეატრი და ანსამბლები წარმოდგენებს მართავენ და მონაწილეობენ, როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გამართულ ფესტივალებზე. ჯამში მაყურებელთა რაოდენობა წლის განმავლობაში შედაგენს 5 000 კაცს. მუნიციპალურ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 350 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 3 472-ს. ხალხთა მეგობრობის მუზეუმში დღეის მდგომარეობით 500 ექსპონატია გამოფენილი, წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა შეადგენს 650-ს. მუნიციპალიტეტის 14 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 206 923 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლობით 8 024 მოსახლე. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლების მონიტორინგს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 39 ძეგლი, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს 22-მდე ძეგლს. ჰამლეტ გონაშვილის სახ. ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლის მოსწავლეები სწავლობენ ქართულ ხალხურ სიმღერასა და გალობას. სკოლაში არსებული ანსამბლი მონაწილეობას იღებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ სხვადასხვა კულტურულ და სადღესასწაულო ღონისძიებებში. სამუსიკო სკოლებში დაწყებით განათლებას იღებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 170 მოსწავლე. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას კომპოზიციას, ძერწვას და ხელოვნების ისტორიას. სულ 40 ბავშვი.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა; მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის შესწავლა და პროპაგანდა. ეროვნული ფოლკლორული ტრადიციების ახალ რეალობაში დამკვიდრება. სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა.				

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 02			100.0	101.0	102.0	103.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		**ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი**				
პროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი ვალდებულებას იღებს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება დატვირთული იყოს შინაარსობრივად მრავალფეროვანი, სანახაობრივად საინტერესო და კულტურული ღირებულებების მქონე მთელი რიგი ღონისძიებებით, რისთვისაც წლის დასაწყისში კეთდება გეგმა-გრაფიკი და ამ თანამიმდევრობით ხდება მათი განხორციელება ღონისძიებები ერთმანეთისაგან შინაარსობრივად აბსოლუტურად განსხვავებულია. ცენტრი ცდილობს დანერგოს ინოვაციები, რათა ეს ღონისძიებები პასუხობდეს თანამედროვეობის მოთხოვნებს. ღონისძიებებში მონაწილეობენ როგორც ადგილობრივი კოლექტივები, ასევე, მოწვეული ანსამბლები და ფოლკლორული ჯგუფები. ღონისძიებათა ჩასატარებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხა და ხდება მისი გეგმიური გადანაწილება წლის ბოლომდე. დაგეგმილია სახალხო მსვლელობა „ალილო“, ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძებები, დაუნის სინდრომის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, კულტურული ღონისძიებების გამართვა სლოგანით „აღდგომიდან ამაღლებამდე“, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ფესტივალი, თეატრის სპექტალის გამართვა და მოქმედი ანსამბლების საანგარიშო კონცერტები, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გალა კონცერტი, 2 აგვისტოს „სახალხო დრესასწაული „დედოფლისწყაროობა“ და გალა კონცერტი. მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ამაგდარ პედაგოგებთან შეხვედრა, სახალხო დღესასწაული „ფიროსმანობა“ (სოფ. მირზაანში). საახალწლო გალა-კონცერტი.ფოლკლორის რაიონული ფესტივალი (მუნიციპალიტეტში მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით).				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის სადღესასწაულო და სასიამოვნო გარემოს შექმნა; საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა სადღესასწაულო ღონისძიებებში; ნიჭიერი და პერსპექტიული შემოქმედების წარმოჩენა; ღირსეული, ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანების დაფასება, მხარდაჭერა და სტიმულირება. საზოგადოებაში მოხალისეობის იდეის წახალისება, აქტიური და ინიციატორი მოქალაქეების სტიმულირებას. განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესის, ასევე, ღონისძიებებზე მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობის ზრდა.				

კოდი	პროგრამის დასახელება	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 03			45.0	46.0	47.0	48.0
პროგრამის განმახორციელებელი		**ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი**				
პროგრამის აღწერა		პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში. პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდებისთვის გასართობი, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემათ. პროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებზე პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირებას, სპორტულ ოლიმპიადებისთვის მონაწილეთა ფორმების შეძენას და მათ დაჯილდოებას, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი უზრუნველყოფს სპორტული წრეების მუშაობას სხვადასხვა მიმართულებით, აგრეთვე გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს როგორც სამოყვარულო, ასევე პროფესიული სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით, უზრუნველყოფს მის დანერგვასა და პოპულარაზაციას. ცენტრი ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებსა და ახორციელებს მათ დაჯილდოვებას, უზრუნველყოფს მათ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც. აუცილებელია ახალგაზრდობის განვითარების მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა ,სადაც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის სპეციფიკური საჭიროებები, ინტერესები და შესაბამისი მიდგომები რომლებიც ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება. ცენტრის მიზანია ახალგაზრდებს მიეცეთ ერთიან სივრცეში ერთობლივი აქტივობებისა და საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა. ცენტრში ფუნქციონირებს ახალგაზრდული ცენტრი “ იბერია“, რომელიც განახორციელებს ახალგაზრდებისათვის ინტელექტუალურ და				

კოდი	პროგრამის დასახელება	პრესის მომსახურება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 04			68.0	69.0	70.0	71.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შპს "შირაქი"**				
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გაზეთ "შირაქის" გამოცემა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს. გაზეთის მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის მოძიება, მიღება, შექმნა, შენახვა და დამუშავება. თვითმმართველი ორგანო გამოცემის საშუალებით თანამშრომლობს საზოგადოების ფართო ფენებთან - გაზეთის მეშვეობით მოსახლეობის დიდი ნაწილი ეცნობა ბიუჯეტის პროექტს და მონაწილეობს საჯარო განხილვაში, თვითმმართველი ორგანო გაწეული მუშაობის შესახებ გაზეთის ფურცლებიდან აბარებს ანგარიშს ხალხს.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		გაზეთი მედიატორის როლს ასრულებს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის; გაზეთი "შირაქის" საშუალებით დედოფლისწყაროელები ეცნობიან მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს.				
		შემეცნებით კონკურსებს, გასართობ ღონისძიებებს. შემოქმედებითი უნარჩვევებით გამორჩეული. ახალგაზრდებისათვის საზოგადოების უკეთ გაცნობის მიზნით მოაწყობს გამოფენებსა და პრეზენტაციებს, ჩაატარდებს გამწვანებისა და დასუფთავების აქციებს, მოაწყობს შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან.				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდა; სპორტის ინტეგრირება მოსახლეობაში, ჯანსაღი წესის დამკვიდრება. ცენტრის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდობის ჩართულობა საზოგადოებრივ,, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდობის თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას.საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.გაიზრდება მოსახლეობის ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში,ასევე გაიზრდება სპორტსმენტთა სპორტული მიღწევები და გაუმჯობესდება სწავლების ხარისხი. ახალგაზრდებისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით, სპორტულ და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება; ახალგაზრდებისთვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის.				

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**757,3**	**764,3**	**771,9**	**771,9**
06 01	**ჯანმრთელობის დაცვა**	**98,0**	**100,0**	**102,0**	**102,0**
06 02	**სოციალური პროგრამები**	**659,3**	**664,3**	**669,9**	**669,9**
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	412,0	412,0	412,0	412,0
06 02 02	უფასო კებით უზრუნველყოფა	245,0	250,0	255,6	255,6
06 02 03	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	2,3	2,3	2,3	2,3

კოდი	**პროგრამის დასახელება**	**საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა**	**2021 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2023 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**
06 01			**98.0**	**100.0**	**102.0**	**102.0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		**ა(ა)იპ -დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი**				

პროგრამის აღწერა	თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროს ჯანდაცვის ცენტრი ძირითადად ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლი) 2 იმუნიზაციია. 3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. 5. ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან. 6. დაავადების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯგუფების გამოვლენა და აღრიცხვა. 7. რანდომიზებული კვლევის (თამბაქოს კონტროლი) განხორციელება მუნიციპალიტეტში ადგილობრივი კონტექსტის შესასწავლად.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსალოდნელი შეგედი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება**	**2021 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2023 წლის დაფინანსება ათას ლარში**	**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**
06 02 01			**412.0**	**412.0**	**412.0**	**412.0**

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური**
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კერძოდ: - დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერად დახმარებას: - სამედიცინო მომსახურების დაფინანსებასა და თანადაფინანსებას; - ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირების ხარჯებით უზრუნველყოფას; - სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის ან ბუნებრივი აირის ღირებულების დაფარვა, გათბობის ხარჯით უზრუნველყოფას; - უსახლკარო ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა. - აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა ოჯახების ერთჯერად დახმარებას, რომელიც მიმართულია მათი სამედიცინო საჭიროებისათვის. - სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	უსახლკარო ოჯახების გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა, მათი სტიმულირება და მატერიალური თანადგომა; მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისება; გაუმჯობესებული დემოგრაფიული მდგომარეობა. ბენეფიციარის დახმარება ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის; სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კომუნალურ გადასახადებზე შეღავათების უზრუნველყოფით მათი მატაერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა (ა) იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის„ დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 02			245,0	250,0	255,6	255,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა (ა) იპ დედოფლისწყაროს სათნოების სახლი				
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამის ბენეფიციარები წარმოადგენენ ქალაქ დედოფლისწყაროს, სოფელ სამრეკლოს და სოფ. ხორნაბუჯში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას. ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 210 ადამიანს, რომლებიც სარგებლობენ უფასო კვებით დღეში ერთხელ, კვირაში 6 დღის განმავლობაში.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მარტოხელა პენსიონერები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დაცული იქნან ყოველდღიური გაჭირვებისაგან. მუნიციპალიტეტში მცხოვრები, პროგრამით განსაზღვრული, ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება უფასო ერთჯერადი კვების მომსახურებით. ყოფითი პირობების გაუმჯობესება.				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 03			2.3	2.3	2.3	2.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯების დაფინანსებას.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		გარდაცვლილი ომის ვეტერანის პატივის მიგება.				

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

ორგ. კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**2 605,8**	**2 662,5**	**2 674,5**	**2 674,5**

01 01	**საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა**	**2 550,8**	**2 607,5**	**2 619,5**	**2 619,5**
01 01 01	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო	671,4	693,0	699,0	699,0
01 01 02	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია	1 768,2	1 803,3	1 809,3	1 809,3
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	111,2	111,2	111,2	111,2
01 02	**საერთო დანიშნულების ხარჯები**	**55,0**	**55,0**	**55,0**	**55,0**
01 02 01	სარეზერვო ფონდი	50,0	50,0	50,0	50,0
01 02 03	შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები	5,0	5,0	5,0	5,0